

დამტკიცებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №88 განკარგულებით

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და
ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიზნობრივი პროგრამა**

2017 წლისათვის
ზომის ერთეული: ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა“

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

“01 თებერვალი“ 2017წ.
“01 ოქტომბერი“ 2017წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი – 35 0000 ლარი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

2015 წელს პირველად მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა პროგრამა, რომელმაც ხელი შეუწყო და წახალისა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტები. პროგრამა განხორციელდა 2014-2015 წწ მეორე სემესტრის შედეგების შესაბამისად, რამაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება გამოიწვია სტუდენტების მხრიდან. მათ მიეცათ სტიმული და გაუჩნდათ მოტივაცია.

2015 წელს მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი იქნა 35 განცხადება, მათგან მხოლოდ 29 სტუდენტმა დააკმაყოფილა პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და გაიცა 8700 ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა 6300 ლარი გადანაწილდა ერთი შშმ პირის სწავლის საფასურის დაფინანსებასა და 10 სტუდენტზე (დედით ან მამით ობოლი, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის სტუდენტებზე, რომლებსაც 2014-2015 წწ მეორე სემესტრში ქონდათ მაღალი აკადემიური მოსწრება).

2016 წელს არსებული შედეგების მიხედვით 2015-2016 წწ პირველ სემესტრში მიღებული ქულების მიხედვით მარტის თვეში შემოსული იყო სულ 42 განცხადება, მათგან **39** სტუდენტის დოკუმენტაცია აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, შესაბამისად თითოეულ სტუდენტზე 15000 ათ. ლარის ამოწურვამდე გაიცა თანაბრად **384 ლარი**. ივნისის თვეში პროგრამა გაიზარდა 20000 ათ. ლარით, რომლის ფარგლებშიც სექტემბრის თვეში წარმოდგენილი 47 განცხადებიდან **43** აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და თითოეულ სტუდენტზე გაიცა **423 ლარი**. დაფინანსდა ასევე შშმ პირის, სტუდენტის მეორე წლის სწავლის საფასური 1800 ლარით.

2017 წლის წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს 2016-2017 წწ პირველ და მეორე სემესტრში არსებული შედეგების მიხედვით გაიცეს ერთჯერადი ჯილდო. მუნიციპალიტეტი ერთჯერად ჯილდოს გასცემს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის სტუდენტებზე, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ (ფრიადი, 91 და მეტი ქულა, A კატეგორია) და შშმ პირის მესამე წლის სწავლის საფასური.

მუნიციპალიტეტის აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტის მოტივაციის ამაღლებას და მცირედით მოუგვარებს სხვადასხვა ფინანსურ პრობლემას.

პროგრამით თანხა გაიცემა 2016-2017 წწ პირველ და მეორე სემესტრში მიღებული ქულების შესაბამისად საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ სტუდენტებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები:	მიზნის მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მაღალი აკადემიური მოსწრების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების (ფრიადი, 91 და მეტი ქულა, A კატეგორია) ერთჯერადი ფულადი ჯილდოთ უზრუნველყოფა	მოსარგებლე პირთა რაოდენობა.
2	სტუდენტების წახალისება, ხელშეწყობა	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	შემოსული განცხადებები			X					X				
2	ერთჯერადი ფულადი თანხის ჩარიცხვა				X					X			
3	შშპ პირის, სტუდენტის სწავლის საფასურის დაფარვა									X			

9. პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

1. პროგრამით ისარგებლებენ ის სტუდენტები, რომლებმაც მიიღეს მაღალი აკადემიური ქულა (ფრიადი, 91 და მეტი ქულა, A კატეგორია) 2016-2017 წწ პირველ და მეორე სემესტრში საბაკალავრო პროგრამით.

2. 2016-2017 წწ პირველი სემესტრის შედეგები განიხილება 2017 წლის 01 აპრილამდე, ხოლო 2016-2017 წწ მეორე სემესტრის შედეგები განიხილება 2017 წლის 01 სექტემბრამდე. თითოეულ სემესტრში გამოყოფილი თანხის გაცემა მოხდება სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ

1	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	35 0000			35 0000
	სულ:		35 000.0			15 000.0

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა	თანხის ზედა ზღვარი	სემესტრი	სულ ხარჯი (ლარი)
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა	სტუდენტი	40 კაცი	415 ლარი	I სემესტრი	16 600
2		სტუდენტი	40 კაცი	415 ლარი	II სემესტრი	16 600
3	შშპ პირის, სტუდენტის სწავლის საფასურის დაფარვა	სტუდენტი	1 კაცი	1 800 ლარი	II სემესტრი	1 800
სულ ჯამი:						35 000,0

დაფინანსების გაცემის სქემა:

- ა) განცხადება;
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ID ბარათი ან პასპორტი);
- გ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ;
- დ) მოქალაქის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ე) სტუდენტის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;
- ვ) 2016-2017წწ პირველი სემესტრის შედეგების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ხელვაჩაურის გამგეობაში არაუგვიანეს 2017 წლის 01 აპრილამდე, ხოლო 2016-2017წწ პირველი სემესტრის შედეგების შესახებ ინფორმაცია 2017 წლის 01 სექტემბრამდე.
- ზ) შშპ პირის, სტუდენტის დაფინანსებისათვის გარდა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაციისა ასევე ცნობა შესაბამისი უმაღლესი დაწესებულებიდან სტუდენტის დავალიანების შესახებ.